

შპს „აკვამარინი“

2024 წლის ფინანსური ანგარიშგება

## სარჩევი

|                                                |   |
|------------------------------------------------|---|
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება             | 3 |
| მოგება ზარალის ანგარიშგება                     | 4 |
| კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება              | 5 |
| ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები | 6 |

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2024-ის თარიღისთვის

|                                                             | შენიშვნა | 12/31/2024<br>ლარი | 12/31/2023<br>ლარი | 12/31/2022<br>ლარი |
|-------------------------------------------------------------|----------|--------------------|--------------------|--------------------|
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                                  | 3        | -                  | -                  | 1,046,465          |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები                       |          | 20,771             | 38,716             | 1,271,934          |
| სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები | 4        | 918,526            | 1,070,215          | 1,368,337          |
| სხვა მოკლევადიანი აქტივები                                  | 5        | 452,777            | 376,093            | 244,454            |
| <b>სულ მოკლევადიანი აქტივები</b>                            |          | <b>1,392,074</b>   | <b>1,485,024</b>   | <b>3,931,190</b>   |
| <b>სულ აქტივები</b>                                         |          | <b>1,392,074</b>   | <b>1,485,024</b>   | <b>3,931,190</b>   |
| <b>ვალდებულებები</b>                                        |          |                    |                    |                    |
| საგადასახადო ვალდებულებები                                  |          | 98,817             | 98,816             | 97,898             |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები                  | 6        | 28,625             | 39,759             | 50,051             |
| <b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b>                       |          | <b>127,442</b>     | <b>138,575</b>     | <b>147,949</b>     |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                                    |          | <b>127,442</b>     | <b>138,575</b>     | <b>147,949</b>     |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                                    |          |                    |                    |                    |
| საწესდებო კაპიტალი                                          |          | 50                 | 50                 | 50                 |
| გაუნაწილებელი მოგება                                        |          | 1,264,582          | 1,346,399          | 3,783,191          |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>                                |          | <b>1,264,632</b>   | <b>1,346,449</b>   | <b>3,783,241</b>   |
| <b>სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი</b>               |          | <b>1,392,074</b>   | <b>1,485,024</b>   | <b>3,931,190</b>   |

შპს „აკვამარინი“  
დირექტორი: იურიი ოვჩარენკო



მოგება ზარალის ანგარიშგება 01.01.2024 - 31.12.2024 პერიოდისთვის

|                                  | შენიშვნა | 2024<br>ლარი    | 2023<br>ლარი       |
|----------------------------------|----------|-----------------|--------------------|
| ამონაგები                        | 7        | 373,071         | 10,089,285         |
| ამონაგების თვითღირებულება        |          | -               | -                  |
| <b>საერთო მოგება</b>             |          | <b>373,071</b>  | <b>10,089,285</b>  |
| ადმინისტრაციული ხარჯები          | 8        | (523,393)       | (12,414,110)       |
| ფინანსური შემოსავალი             |          | 80,439          | 118,743            |
| არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი | 9        | (11,934)        | (230,710)          |
| <b>მოგება დაბეგვრამდე</b>        |          | <b>(81,817)</b> | <b>(2,436,792)</b> |
| მოგების გადასახადი               |          | -               | -                  |
| <b>წმინდა მოგება/ზარალი</b>      |          | <b>(81,817)</b> | <b>(2,436,792)</b> |

შპს „აკვამარინი“


დირექტორი: იური ივჩარენკო



კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 01.01.2024- 31.12.2024 პერიოდისთვის

|                    | საწესდებო<br>კაპიტალი<br>ლარი | გაუნაწილებელი<br>მოგება<br>ლარი | ჯამი<br>ლარი |
|--------------------|-------------------------------|---------------------------------|--------------|
| ნაშთი - 31.12.2022 | 50                            | 3,783,191                       | 3,783,241    |
| პერიოდის მოგება    | -                             | (2,436,792)                     | (2,436,792)  |
| ნაშთი - 31.12.2023 | 50                            | 1,346,399                       | 1,346,449    |
| პერიოდის მოგება    | -                             | (81,817)                        | (81,817)     |
| ნაშთი - 31.12.2024 | 50                            | 1,264,582                       | 1,264,632    |

შპს „აკვამარინი“  
დირექტორი: იურიი ოვჩარენკო



სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

## 1. ზოგადი ინფორმაცია

„აკვამარინი“ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 26/07/2018). კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს საზღვაო გადაზიდვების მომსახურება საქართველოს ფარგლებს გარეთ.

იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, აკ. წერეთლის გამზირი, №72, სართული 1, ნაგებობა №2

კომპანიის დირექტორი: იურიი ოვჩარენკო, FN558439

კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი: იურიი ოვჩარენკო, FN558439

## 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი).

### საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი ("ლარი"), რაც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას.

### უცხოური ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა



დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

|                       | 31 დეკემბერი<br>2024 | 31 დეკემბერი<br>2023 | 31 დეკემბერი<br>2022 |
|-----------------------|----------------------|----------------------|----------------------|
| 1 აშშ დოლარი / ლარი   | 2.8068               | 2.6894               | 2.7020               |
| 1 ევრო / ლარი         | 2.9306               | 2.9753               | 2.8844               |
| 1 თურქული ლირა / ლარი | 0.0795               | 0.0910               | 0.1443               |

#### ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და გადაეცემა საკუთრების უფლება.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

#### სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალში როდესაც გაწეულ იქნა.

#### მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

მოგების გადასახადის ხარჯი გამორიცხავს მოგების გადასახადს დასაბეგრ ხარჯებზე, რადგან აღნიშნული არ ეფუძნება მოგების გადასახადის ცნებას (ის აღიარდება, როგორც საოპერაციო ხარჯი მოგებაში ან ზარალში).

#### ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით. ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების

ვადაზე, ცვეთის წრფივი მეთოდით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- ავეჯი და სხვა ინვენტარი - 20%
- არამატერიალური აქტივები - 15%
- იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა - 15% შენობის იჯარით გათვალისწინებული ვადის სასარგებლო გამოყენების ვადის შესაბამისად.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

### არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები ასახულია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე, მაგრამ არ აღემატება 10 წელს.

### აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

### იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.



ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

#### **სასაქონლო მატერიალური ფასეულობები**

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

#### **სავაჭრო და სხვა მოთხოვნები**

მომსახურების/საქონლის მიწოდება ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

#### **სავაჭრო ვალდებულებები**

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული

სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

**ბანკის სესხები და ოვერდრაფტები**

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

**დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები**

დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები, გაყიდვების თანამშრომლებისთვის წარმოადგენს ფიქსირებული თანხისა და ბონუსის ჯამს. ადმინისტრაციისათვის გასამრჯელოები ფიქსირებულია და არ იცვლება, თუ არ მოხდა მათი გასამრჯელოს მატების ან ერთჯერადი წახალისებისთვის, თანხის დამატების გადაწყვეტილების მიღება. გასამრჯელოები გადაიხდება ყოველთვიურად.

**ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

**3. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები**

|                            | 2024    | 2023 | 2022      |
|----------------------------|---------|------|-----------|
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 918,526 | -    | 1,046,465 |
| სულ                        | 918,526 | -    | 1,046,465 |

**4. სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები**

|                    | 2024    | 2023    | 2022   |
|--------------------|---------|---------|--------|
| გადახდილი ავანსები | 292,117 | 6,492   | -      |
| გაცემული სესხები   | -       | 160,660 | 72,582 |
| სულ                | 292,117 | 167,151 | 72,582 |

5. სხვა მოკლევადიანი აქტივები

|                       | 2024     | 2023           | 2022           |
|-----------------------|----------|----------------|----------------|
| მისაღები პროცენტები   | -        | 682,036        | 88,711         |
| საგადასახადო აქტივები | -        | -              | 808,223        |
| <b>სულ</b>            | <b>-</b> | <b>682,036</b> | <b>896,934</b> |

6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

|                       | 2024          | 2023          | 2022          |
|-----------------------|---------------|---------------|---------------|
| სავაჭრო ვალდებულებები | 28,625        | 39,759        | 50,051        |
| <b>სულ</b>            | <b>28,625</b> | <b>39,759</b> | <b>50,051</b> |

7. ამონაგები

|                           | 2024           | 2023              |
|---------------------------|----------------|-------------------|
| შემოსავალი მომსახურებიდან | 373,071        | 10,089,285        |
| <b>სულ</b>                | <b>373,071</b> | <b>10,089,285</b> |

8. ადმინისტრაციული ხარჯები

|                                       | 2024             | 2023                |
|---------------------------------------|------------------|---------------------|
| საწვავის ხარჯი                        | -                | (1,501,842)         |
| გემის შეკეთების და ტექ-აღჭურვის ხარჯი | (13,178)         | (4,026,581)         |
| მენეჯმენტის ხარჯი                     | (85,011)         | (388,267)           |
| საკონსულტაციო ხარჯი                   | (14,186)         | (36,880)            |
| ეკიპაჟის ხარჯი                        | -                | (1,187,616)         |
| საპორტო მომსახურების ხარჯი            | (99,048)         | (3,948,033)         |
| საბუღალტრო მომსახურების ხარჯი         | (10,748)         | (22,359)            |
| იურიდიული მომსახურების ხარჯი          | (99,825)         | (10,972)            |
| სადაზღვევო ხარჯი                      | -                | (115,790)           |
| საბროკერო ხარჯი                       | (182,278)        | (258,466)           |
| სხვა ხარჯი                            | -                | (183,917)           |
| ბანკის საკომისიოს ხარჯი               | (19,120)         | (75,524)            |
| აგენტის ხარჯი                         | -                | (657,863)           |
| <b>სულ</b>                            | <b>(523,393)</b> | <b>(12,414,110)</b> |

9. არასაოპერაციო შემოსავალი /(ხარჯი)

|                                            | 2024            | 2023             |
|--------------------------------------------|-----------------|------------------|
| კურსთა შორის სხვაობიდან მიღებული შემოსავალ | (11,934)        | (241,031)        |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)      | -               | 10,321           |
| <b>სულ</b>                                 | <b>(11,934)</b> | <b>(230,710)</b> |

10. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები:

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ანგარიშგების წარდგენის თარიღამდე, კომპანიაში მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ჰქონია.

11. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2025 წლის 23 სექტემბერს.

შპს „აკვამარინი“

დირექტორი: იურიი ოვჩარენკო

